1940/2
Ь-Ко
ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

მთავრობის

დადგენილებათა და განკარგულებათა კრებული

1940 წ. აგვისტოს 19 № 21 თბილისი

4284

შინაარსი

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი

84. თამბაქოს ვაჭრობის აკრძალვის შესახებ.

85. 1941 წლისათვის საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო გეგმის შედგენის ვადებისა და წესის შესახებ.

86. საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატების, საწარმოებისა და ორგანიზაციების კუთვნილი ავტომანქანების სხვა სისტემის საწარმოებისა და დაწესებულებებისათვის ან კერძო პირებისათვის მიყიდვის ან გადაცემის აკრძალვის შესახებ.

87. კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა ორგანიზაციების კუთვნილი მიწების დაჭაობიანებული ნაკვეთების სავალდებულო ამოშრობის ჩატარების შესახებ.

88. სახელმწიფო, კოოპერატიულ და საზოგადოებრივ საწარმოებისა, დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისათვის აგენტების მეშვეობით საქონლისა და მასალების შეძენის და რეალიზაციის აკრძალვის შესახებ.

89. საქართველოს სახელმწიფო ესტრადასთან ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის მოწყობის შესახებ.

ბიბლიოთეკის სახ. საქ. სახელმწიფო
საჯარო
ბიბლიოთეკა
თბილისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი

84. თამბაქოს ვაჭრობის აკრძალვის შესახებ.

1940 წლის მოსავლის თამბაქოს დამზადების დაწყებასთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. აეკრძალოს 1940 წლის 15 აგვისტოდან კოლმეურნეობებს, კოლმეურნეებსა და ერთპიროვნულ მეურნეობებს როგორც დაჭრილი, ისე ფოთლოვანი თამბაქოთი ვაჭრობა საქართველოს სსრ მთელ ტერიტორიაზე, ვიდრე შესრულებული არ იქნება 1940 წლის მოსავლის თამბაქოს დამზადების რესპუბლიკური გეგმა და არ გამოქვეყნდება საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს სპეციალური დადგენილება თამბაქოს თავისუფალი გაყიდვის ნებადართვის შესახებ.

2. ნება დაერთოს ახალციხის, ასპინძის და წალკის რაიონების კოლმეურნეობებს, კოლმეურნეებსა და ერთპიროვნულ მეურნეობებს თავისუფლად გაჰყიდონ საკუთარი მოსავლის თამბაქო ახალციხის, ასპინძის, წალკის, ადიგენის, ახალქალაქისა და ბოგდანოვკის რაიონების ფარგლებში.

3. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1940 წლის 13 აპრილის დადგენილება „თამბაქოს თავისუფალი გაყიდვის შესახებ" (საქ. სსრ დადგ. კრ. 1940 წ. № 7, მუხ. 32).

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **ს. ხოშტარია.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **ი. რუხაძე.**

1940 წ. აგვისტოს 7. № 1544.
თბილისი.

---

85. 1941 წლისათვის საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო გეგმის შედგენის ვადებისა და წესის შესახებ.

„1941 წლისათვის სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო გეგმის შედგენის ვადების შესახებ" სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1940 წლის 30 ივლისის დადგენილების № 1390 განსახორციელებლად საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაევალოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ სახელმწიფო საგეგმო კომისიას 1940 წლის 5 ოქტომბერს წარმოუდგინოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს პროექტი 1941 წლისა და 1941 წლის 1 კვარტალის სახალხო-სამეურნეო გეგმისა საკავშირო-რესპუბლიკური, რესპუბლიკური და ადგილობრივი მეურნეობის დარგების მიხედვით.

2. დაევალოს საკავშირო-რესპუბლიკური, რესპუბლიკური და ადგილობრივი ქვემდებარეობის ყველა სახალხო კომისარიატებსა, უწყებებსა და ორგანიზაციებს, აგრეთვე აფხაზეთისა და აჭარის ასსრ სახალხო კომისართა საბჭოებს, მშრო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მელთა დეპუტატების სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასრულებელ კომიტეტს, მშრომელთა დეპუტატების რაიონულ და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს 1940 წლის 20 სექტემბრამდე წარმოუდგინონ საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ სახელმწიფო საგეგმო კომისიას:

ა) პროექტები მათ გამგებლობაში მყოფი მეურნეობის განვითარების 1941 წლის და 1941 წ. 1 კვარტალის გეგმებისა სამრეწველო წარმოების, შრომის და თვითღირებულების დარგში, კაპიტალური მშენებლობის დარგში სატიტულო სიების ჩათვლით, საქონელბრუნვის, დამზადების, საბინაო და კომუნალური მეურნეობის, კულტურისა და ჯანმრთელობის დაცვის დარგში;

ბ) გაითვალისწინონ 1941 წლის გეგმაში პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების და დამტკიცებული სტანდარტების დაცვის ღონისძიებანი, ამასთანავე პროდუქციის უმნიშვნელოვანესი სახეების წარმოების გეგმა დააწესონ მარკების (ხარისხების) მიხედვით;

გ) დაამუშაონ და 1940 წლის 20 სექტემბრისათვის წარმოუდგინონ საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ სახელმწიფო საგეგმო კომისიას განაცხადები 1941 წლისათვის საჭირო ფონდირებულ მასალებზე: სათბობზე, ნედლეულზე და მოწყობილობაზე.

3. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ სახელმწიფო საგეგმო კომისიას 5 ოქტომბრისათვის დაამუშაოს და წარმოუდგინოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ნაკრები გეგმა, აგრეთვე ადგილობრივ საშენ მასალათა და ელექტროენერგიის ბალანსი.

4. დაევალოს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს 1940 წლის 1 ოქტომბრისათვის წარმოუდგინოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს, ხოლო ასევე საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ სახელმწიფო საგეგმო კომისიას, 1941 წლის და 1941 წლის 1 კვარტალის რესპუბლიკური და ადგილობრივი ბიუჯეტების პროექტები.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულმა სახელმწიფო საგეგმო კომისიამ 5 დღის ვადაში წარმოუდგინოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავისი დასკვნა ამ პროექტების შესახებ.

5. დაევალოს საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატებს და ცენტრალურ დაწესებულებებს 1940 წლის 20 სექტემბრისათვის წარმოუდგინონ საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ სახელმწიფო საგეგმო კომისიას თავისი საფინანსო გეგმები (შრომისა და თვითღირებულების მაჩვენებელთა ჩათვლით).

6. დაევალოს აფხაზეთის და აჭარის ასსრ სახალხო კომისართა საბჭოებს, მშრომელთა დეპუტატების სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს და მშრომელთა დეპუტატების რაიონული და ქალაქის

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს 1940 წლის 20 სექტემბრისათვის წარმოუდგინონ საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ სახელმწიფო საგეგმო კომისიას ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, რაიონებისა და ქალაქების ბიუჯეტები.

7. დაევალოს საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მყოფ საკავშირო ორგანიზაციებს და საწარმოებს წარმოუდგინონ საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ სახელმწიფო საგეგმო კომისიას 1941 წლის თავიანთი პროექტების და გეგმების ასლები, აგრეთვე განაცხადები ადგილობრივ საშენ მასალებზე და ელექტროენერგიაზე.

8. ძალაში დარჩეს 1941 წელს სახალხო-სამეურნეო გეგმის ფორმები და მაჩვენებლები, დაწესებული 1940 წლისათვის.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე ვ. ბაქრაძე.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი ი. რუსაძე.

1940 წ. აგვისტოს 8. № 1550.
თბილისი.

---

86. საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატების, საწარმოების და ორგანიზაციების კუთვნილი ავტომანქანების სხვა სისტემის საწარმოებისა და დაწესებულებებისათვის ან კერძო პირებისათვის მიყიდვის ან გადაცემის აკრძალვის შესახებ.

ავტომანქანების აღრიცხვისა და გამოყენების საქმეში სათანადო წესრიგის დამყარების მიზნით, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. აეკრძალოს ყველა სახალხო კომისარიატს, საწარმოებსა და ორგანიზაციებს (მათ შორის საზოგადოებრივ და კოოპერატიულ ორგანიზაციებსაც) მათი კუთვნილი სატვირთო და მსუბუქი ავტომანქანების და ავტობუსების მიყიდვა ან გადაცემა სხვა სისტემის საწარმოებისა, ორგანიზაციებისა და დაწესებულებებისათვის, აგრეთვე კერძო პირებისათვის, თუ ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ეს ნებადართული არ იქნება საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ.

2. დაწესდეს, რომ საქართველოს სსრ სახალხო კომისრებს და ცენტრალურ ორგანიზაციათა და დაწესებულებათა ხელმძღვანელებს (მათ შორის საზოგადოებრივ ორგანიზაციათა ხელმძღვანელებსაც) შეუძლიათ დამოუკიდებლად დართონ იმის ნება, რომ ავტომანქანები მიეყიდოს ან გადაეცეს მხოლოდ თავისი სისტემის საწარმოებსა და დაწესებულებებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს მუშურ-გლეხური მილიციის სამმართველოს სახელმწიფო საავტომობილო ინსპექციას ავტომანქანების სანომრო ნიშნების გაცემის ან ტექნიკური პასპორტების გამოცვლის დროს მტკიცედ იხელმძღვანელოს ამ დადგენილებით.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **ი. რუხაძე.**

1940 წ. აგვისტოს 14. № 1564.
თბილისი.

---

87. კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა ორგანიზაციების კუთვნილი მიწების დაჭაობიანებული ნაკვეთების სავალდებულო ამოშრობის ჩატარების შესახებ.

მალარიასთან ბრძოლის შემდგომი გაძლიერებისა და კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სამეურნეო ორგანიზაციების ტერიტორიაზე დაჭაობიანებული ნაკვეთების ლიკვიდაციის მიზნით, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაევალოს კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს და სხვა სამეურნეო ორგანიზაციებს მათს ტერიტორიებზე მალარიის კოლოების გავრცელების კერების ლიკვიდაციის მიზნით, ჩაატარონ 1940—41 წლების განმავლობაში საკუთარი ძალებითა და საშუალებებით საჭირო მელიორატიული სამუშაოები: გასწმინდონ წყალსადენის არსებული არხები, ამოავსონ გამოუყენებელი ბუნებრივი და ხელოვნური წყალსატევები, აგრეთვე გუბეები და გაიყვანონ ამოსაშრობი არხები დაჭაობიანებული ნაკვეთების გრუნტისა და ზედაპირის წყლების ასაქცევად.

2. დაწესდეს, რომ ამ დადგენილების პირველი პუნქტით გათვალისწინებულ სამუშაოებს კოლმეურნეობანი და ყველა სხვა ორგანიზაციები ატარებენ საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატის ორგანოების (სამალარიო დაწესებულებანი, ჯანგანყოფილებანი) მითითებებით სავალდებულო წესით, ამასთან იმ დაჭაობიანებული ადგილების ლიკვიდაციისათვის ზომების მიუღებლობისათვის, რომლებიც მალარიის გავრცელების კერებს წარმოადგენენ, პერსონალური პასუხისმგებლობა ეკისრებათ კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებსა და სათანადო ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს.

3. წინადადება მიეცეს მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს:

ა) დაუყოვნებლივ გააცნონ ეს დადგენილება ყველა კოლმეურნეობას, ორგანიზაციებსა და საწარმოებს;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) ორი დეკადის ვადაში გამოავლინონ მალარიის გავრცელების კერები ცალკე თვითეულ მეურნეობაში და დაამტკიცონ მელიორატიულ სამუშაოთა გატარების კონკრეტული ვადები;

გ) სისტემატური კონტროლი გაუწიონ მელიორატიულ სამუშაოთა წარმოებას;

4. დაევალოს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატს (ამხ. ფიცხელაურს):

ა) ერთი დეკადის ვადაში შეიმუშაოს და რაიჯანგანყოფილებებსა და ადგილობრივ სამალარიო დაწესებულებებს მიაწოდოს ინსტრუქცია 1 მუხლში აღნიშნულ სამუშაოთა გატარების შესახებ;

ბ) მასობრივი სამუშაოების წარმოების დროს მიავლინოს რაიონებში კვალიფიციური კადრები, რომლებიც დახმარებას გაუწევენ ადგილებს.

5. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატს (ამხ. ფიცხელაურს) ჩაატაროს 1940 წელს კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სამეურნეო ორგანიზაციების ტერიტორიაზე მდებარე დაჭაობიანებული ნაკვეთების პასპორტიზაცია.

6. დაევალოს აფხაზეთის და აჭარის ასსრ სახალხო კომისართა საბჭოებს და მშრომელთა დეპუტატების სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს ერთი დეკადის ვადაში გამოსცენ ანალოგიური დადგენილებანი.

7. ამ დადგენილების შესრულებისათვის მეთვალყურეობის გაწევა დაეკისროს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების, კომუნალური მეურნეობისა და ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატებს.

8. დაევალოს მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტების თავმჯდომარეებს პირადად გაუწიონ მეთვალყურეობა და კონტროლი ამ დადგენილების შესრულებას.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **ი. რუხაძე.**

1940 წ. აგვისტოს 14. № 1565.
თბილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

88. სახელმწიფო, კოოპერატიულ და საზოგადოებრივ საწარმოებისა, დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისათვის აგენტების მეშვეობით საქონლისა და მასალების შეძენისა და რეალიზაციის აკრძალვის შესახებ.

უსასტიკესი საფინანსო-საგეგმო დისციპლინის დაცვის, სახელმწიფო სახსრების უკანონოდ ხარჯვის აღკვეთისა, და საქონლისა და მასალების შეძენა რეალიზაციის დროს ბოროტმოქმედებათა აღმოფხვრის მიზნით, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. აეკრძალოს საქართველოს სსრ ყველა სახელმწიფო, კოოპერატიულ და საზოგადოებრივ საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს ყოველგვარი სახის საქონლისა და მასალების (მათ შორის საკუთარი პროდუქციისაც) შეძენა და რეალიზაცია აგენტების მეშვეობით, რომლებიც პროცენტული გასამრჯელოს პირობებზე მუშაობენ ეგრეთწოდებულ შრომის ხელშეკრულებათა მიხედვით.

2. დაწესდეს, რომ როგორც სახელმწიფო, ისე კოოპერატიული და საზოგადოებრივი საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ დამზადებული პროდუქციის რეალიზაცია და შეძენა უნდა ხდებოდეს მხოლოდ სახელმწიფო და კოოპერატიული ვაჭრობის ქსელის მეშვეობით ან სათანადო სახელმწიფო მომმარაგებელი და სარეალიზაციო ორგანიზაციათა მეშვეობით.

3. გაუქმებულ იქნას, როგორც უკანონო, ყველა წინათ დადებული ხელშეკრულებანი, რომლებიც ამ დადგენილებას ეწინააღმდეგებიან.

4. წინადადება მიეცეს ყველა სახელმწიფო, კოოპერატიულ და საზოგადოებრივ საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს მათი პირადი პასუხისმგებლობით, პროცენტულ-პრემიალურ გამომუშავებაზე მყოფი შტატის თანამშრომლებისათვის გასამრჯელოს მიცემის დროს, მტკიცედ დაიცვან ნორმები, რომლებიც მომქმედი კანონმდებლობის საფუძველზე დაწესებულია სათანადო კატეგორიის მუშაკებისათვის.

5. დაწესდეს, რომ ამ დადგენილების დარღვევისათვის საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელები მიცემულ უნდა იქნან სასტიკ პასუხისგებაში, საჭირო შემთხვევაში სამართალში მიცემით.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **ი. რუხაძე.**

1940 წ. აგვისტოს 14. № 1566.
თბილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

89. საქართველოს სახელმწიფო ესტრადასთან ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის მოწყობის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო აღნიშნავს, რომ დასავლეთ საქართველოს ეტნოგრაფიულმა გუნდმა კ. პაჭკორიას ხელმძღვანელობით და აღმოსავლეთ საქართველოს ეტნოგრაფიულმა გუნდმა დ. კავსაძის ხელმძღვანელობით მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს ქართული ხალხური სიმღერების გამოვლინებისა და გავრცელების, აგრეთვე ხალხური ინსტრუმენტების-ჩონგურისა და ფანდურის აღორძინებისა და დანერგვის საქმეში. მაგრამ უკანასკნელ დროს გუნდების მუშაობას არ ემჩნევა შემდგომი გაუმჯობესება. გუნდები ძირითადად იმ მასალებით ცხოვრობენ, რომლებსაც ისინი მთელი რიგი წლების განმავლობაში ასრულებენ. ისინი სუსტად მუშაობენ ხალხური საგუნდო კულტურის ნიმუშების შემდგომი გამოვლინებისა და შესწავლისათვის. გუნდების საშემსრულებლო ოსტატობა კვლავ წინანდელ დონეზე დგას. განსაკუთრებით სუსტად სწარმოებს მუშაობა ქართული ხალხური ცეკვების აღორძინებისა და შემდგომი განვითარებისათვის. ჩონგურისა და ფანდურის გარდა, გუნდები არ იყენებენ სხვა ქართულ ხალხურ ინსტრუმენტებს.

გუნდების მუშაობას განსაკუთრებით ის გარემოება აფერხებს, რომ ამ გუნდების მონაწილეთა დიდი უმრავლესობა სხვადასხვა დაწესებულებებსა და საწარმოებში მსახურობს, რის შედეგადაც გუნდებს არ შეუძლიათ სისტემატურად ჩაატარონ მეცადინეობა და გამართონ კონცერტები რაიონებში.

საჭიროა აგრეთვე აღინიშნოს, რომ ორივე გუნდის საშემსრულებლო ოსტატობის შემდგომ ამაღლებას ძლიერ უშლის ხელს მათი რეპერტუარის შეზღუდვა საქართველოს ცალკეული რაიონების სიმღერებით. მას შემდეგ, რაც სიმღერები რომლებსაც გუნდები ასრულებენ საქართველოს ყველა კუთხეში გავრცელდა, საჭირო გახდა გვქონდეს ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის ერთიანი ანსამბლი, რომელიც შეასრულებს როგორც აღმოსავლეთ საქართველოს, ისე დასავლეთ საქართველოს საუკეთესო ხალხურ სიმღერებსა და ცეკვებს.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. კ. პაჭკორიას ხელმძღვანელობით არსებული დასავლეთ საქართველოს გუნდის და დ. კავსაძის ხელმძღვანელობით არსებული აღმოსავლეთ საქართველოს გუნდის გაერთიანების ბაზაზე შეიქმნას ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის ერთიანი ანსამბლი, რომლის რეპერტუარშიაც შეტანილ იქნას საქართველოს ყველა კუთხის ხალხური სიმღერებისა და ქორეოგრაფიული შემოქმედების საუკეთესო ნიმუშები.

2. ანსამბლის შემადგენლობა განისაზღვროს 130 კაცით ხელმძღვანელი ადმინისტრატიულ-სამეურნეო პერსონალის—7 კაცის ჩათვლით.

3. დაწესდეს, რომ ანსამბლი ჩონგურისა და ფანდურის გარდა, გამოიყენებს ისეთ ხალხურ ინსტრუმენტებსაც, როგორიცაა: სალამური, სტვირი, დუდუკი, ჭიბონი, სოინარი, დაირა, დოლი, დიპლიპიტო და სხვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ ხელოვნების საქმეთა სამმართველოს (ამხ. გოგუას და კანდელაკს):

ა) შეიმუშაოს და დაამტკიცოს ანსამბლის რეპერტუარი, როგორც სიმღერისა და ცეკვის დარგში, ისე ხალხურ ინსტრუმენტებზე სოლოდ შესრულების დარგშიც;

ბ) ანსამბლის მონაწილეთა შერჩევის დროს გაითვალისწინოს მოცეკვავეთა ჯგუფის შექმნა არანაკლებ 20 კაცის შემადგენლობით.

5. ანსამბლის ხელმძღვანელად დამტკიცებულ იქნას ამხ. კ. პაჭკორია, ხელმძღვანელის მოადგილედ ამხ. დ. კავსაძე, სამხატვრო-მუსიკალური ნაწილის გამგედ—ამხ. კოკელაძე და მთავარ ადმინისტრატორად—ამხ. შავდია.

6. დაევალოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ ხელოვნების საქმეთა სამმართველოს დახარჯოს 1940 წელს ქართული სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის მოსაწყობად და შესანახად 510,3 ათასი მანეთი იმ სახსრების გათვალისწინებით, რაც სახელმწიფო ესტრადის გუნდებს მიეცა წლის პირველ ნახევარში.

წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ ხელოვნების საქმეთა სამმართველოს ანსამბლის მოსაწყობად და შესანახად საჭირო დამატებითი სახსრები გაიღოს ხელოვნების ბიუჯეტის ფარგლებში, რაც დამტკიცებულია 1940 წლისათვის.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **ი. რუხაძე.**

1940 წ. აგვისტოს 14. № 1581.
თბილისი.

2695

ეროვნული
ბიბლიოთეკა

П 602/390

გამომცემელი: საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო

უნდა ჩაბარდეს პირველ რიგში
ხელწერილის ქვეშ

მისამართისათვის

მარქსის სახ. საქ. სახელმ.
საჯარო
ბიბლიოთეკა
თბილისი

ფასი 40 კაპ.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი, „კომუნისტი", თბილისი,
ლენინის ქ. № 28

უე (УЭ) 7101 მეკვეთა (Заказ) № 1278. ტირაჟი 2000.